ელენე გოცაძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის დოქტორანტი

ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო დახმარების ევოლუცია სტრატეგიული მიზნების განხორციელების კვალდაკვალ

შესავალი: აშშ საგარეო დახმარების ჩანასახი მე-20 საუკუნის 40-იან წლებამდე

საერთაშორისო ურთიერთობებში ურთიერთმომგებიანი დახმარება ისეთივე ძველია, როგორც იმპერიებისა და სამეფოების მათ ვასალებთან დამოკიდებულება. ფეოდალურ ხანაში სუსტი სახელმწიფოს მიერ ძლიერი სახელმწიფოების ერთგულება და დაცვა ჩვეულებრივ მოვალეობად ითვლებოდა. შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე დიპლომატიაში როლები შეიცვალა და ძლიერი ქვეყნები სუსტებს უხდიან, თუმცა, „რაღაცის" ფასად. სწორედ ეს „რაღაცა" გახლავთ ის სტრატეგიული ინტერესი, რომელიც ძლიერ და მდიდარ სახელმწიფოს გეოგრაფიულად შორეულ ქვეყანასთან პარტნიორული ურთიერთობებისკენ უბიძგებს.

აშშ-ის საგარეო დახმარება, როგორც რბილი ძალის ინსტრუმენტი, მიმართული იყო სხვადასხვა კონტინენტზე მდებარე ქვეყნებში სიღატაკის შემცირების, ჰუმანიტარული ღონისძიებების განხორციელებისა და დემოკრატიული პროცესის განვითარებისაკენ და ხელს უწყობდა დახმარების მიმღებ ქვეყნებში კეთილდღეობისა და მშვიდობის მიღწევას. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ყველა შემთხვევაში მისი მიზანი შეერთებული შტატების ეროვნულ ინტერესებს ემსახურებოდა.

შეერთებული შტატების საგარეო დახმარების მექანიზმმა ინსტიტუციური სახე მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მიიღო, თუმცა, ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში ამერიკის შეერთებული შტატების ისტორია საგარეო დახმარების გაწევის მაგალითებს ინახავს. 1812 წელს აშშ-მა ვენესუელაში მომხდარი მიწისძვრის შემდეგ დაზარალებული მოსახლეობისთვის მარცვლეულის გაგზავნის მიზნით, თანხის გამოყოფის შესახებ მიიღო გადაწყვეტილება. 1847 და 1880 წლებში შეერთებულმა შტატებმა ნება დართო თავის სამხედრო-საზღვაო ფლოტს, რომ დახმარების ტვირთი ირლანდიაში გადაეზიდათ. თუმცა, ეს ერთჯერადი რეაგირების შემთხვევები უფრო იყო და მას ინსტიტუციური ხასიათი არ ჰქონდა. აშშ-ის მთავრობამ ტექნიკური დახმარების მისიის დაფინანსება მხოლოდ 1909 წელს დაუშვა, როცა პირველი ასეთი პროგრამა დასავლეთ აფრიკაში, ლიბერიაში განახორციელა [1].

პირველი მსოფლიო ომის დროს ბელგიის დახმარების კომისიამ, რომელიც ბელგიაში შიმშილობისგან დაზარალებულ მოსახლეობას საკვებს უგზავნიდა, აშშ-ის მთავრობისგან 387 მილიონი დოლარი მიიღო (კურსის ცვლილებისა და ინფლაციის გათვალისწინებთ). პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, ამერიკის დახმარების (რეკონსტრუქციის) ადმინისტრაციამ (ARA)[1], რომელსაც ხელმძღვანელობდა ჰერბერტ ჰუვერი, ომით გაჩანაგებულ ევროპულ ქვეყნებში საკვების დარიგება გააგრძელა.

ასევე, ARA საკვებს აწვდიდა და ტიფის გავრცელებას ებრძოდა რუსეთის საბჭოთა ფედერაციულ სოციალისტურ რესპუბლიკაში 1921-1923 წლებში [2], შიმშილობის დროს. აშშ-ის კონგრესმა 1921 წელს, „რუსეთის შიმშილის დახმარების აქტის“ საფუძველზე, ARA-სთვის 20 მილიონი დოლარი გამოყო (კურსის ცვლილებისა და ინფლაციის გათვალისწინებით) [2, 108-202].

---

1 ARA – ამერიკის ხსნის სააგენტო: კერძო ჰუმანიტარული ორგანიზაცია. მისი ხელმძღვანელი ჰერბერტ ჰუვერი იმ დროს გახლდათ აშშ-ის ვაჭრობის მდივანი და ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ამერიკელი, რომელმაც პირველი მსოფლიო ომის დროს ევროპის მოსახლეობა შიმშილისგან იხსნა.

ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო დახმარების, როგორც რბილი ძალის ინსტრუმენტის, ისტორია მეორე მსოფლიო ომის პერიოდიდან იწყება და ის იზოლაციონიზმიდან გამოსული ამერიკის გლობალური როლის განმსაზღვრელი გახდა.

ამერიკის შეერთებული შტატები თავისი საგარეო პოლიტიკური მიზნების მისაღწევად ეფექტიანად იყენებდა საგარეო დახმარების მექანიზმებს მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ განადგურებული ევროპის ქვეყნების აღსადგენად და გასაძლიერებლად, ცივი ომის პერიოდში და მას შემდეგ აღმოსავლეთ ევრაზიის კონტინენტზე აღმოცენებული ახალი რესპუბლიკების დემოკრატიული განვითარების მხარდასაჭერად.

და მაინც რაში ჭირდება ძლიერ და განვითარებულ ქვეყანას საგარეო დახმარების ინსტრუმენტი? საგარეო დახმარება დიპლომატიური ურთიერთობების ერთ-ერთ ყველაზე მგრძნობიარე ასპექტს და ზემოქმედების მექანიზმს წარმოადგენს. ამის მიზეზი ის არის, რომ ასეთ დახმარებას ხშირად თან ახლავს მოლოდინი შესაბამისი საპასუხო ნაბიჯებისკენ, რაც ქვეყნებს შორის რთულად გასახორციელებელია და, ვინაიდან სახელმწიფოს ინტერესები ცვალებადია და მუდმივი არაფერია, ხშირად გაუგებრობასაც იწვევს. საგარეო დახმარება არის თანხა, მომსახურება ან ფიზიკური პროდუქტი/საქონელი, რომელსაც, გარკვეული დახმარების გაწევის მიზნით, ერთი ქვეყანა უგზავნის მეორეს. დახმარების მიზანი შეიძლება იყოს მიმღებ ქვეყანაში სიღატაკის შემცირება, ეკონომიკური ზრდის მხარდაჭერა, სოციალური პროგრამების გაძლიერება, დემოკრატიული რეფორმების განხორციელების მხარდაჭერა, კრიზისზე რეაგირება ან თავდაცვისუნარიანობის გაუმჯობესება. ძირითადად, მდიდარი ქვეყანა უწევს დახმარებას ღარიბ და განვითარებად ქვეყანას. თუმცა, ეს არ არის სავალდებულო კრიტერიუმი. მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატები სხვადასხვა მიმართულებით რეგულარულად ეხმარება ისეთი მაღალი მშპ-ს მქონე განვითარებულ ქვეყანას როგორიც ისრაელია.

საერთაშორისო დახმარება ოთხ ძირითად კატეგორიად იყოფა:

– **ჰუმანიტარული დახმარება** მოიცავს სხვადასხვა სახის მხარდაჭერას იმ ქვეყნებისათვის, რომელიც ადამიანის მიერ გამოწვეული (ომი, ტერაქტი) ან ბუნებრივი კატასტროფების (ექსტრემალური ამინდი, მიწისძვრა, წყალდიდობა, გვალვა და ა. შ.) შედეგად დაზარალდა. ამ ტიპის დახმარება მიზნად ისახავს კრიზისში მყოფი მოსახლეობის პირველადი საჭიროებების დაკმაყოფილებას.

– **განვითარების დახმარება** მოიცავს მიმღები ქვეყნის ან საზოგადოების გრძელვადიან ეკონომიკურ განვითარებას, ინვესტიციების გაცემას და მიზნად ისახავს ბიზნესების განვითარებისა და შემოსავლის მდგრადი წყაროების შესაქმნელად საჭირო რესურსების მიწოდებას.

– **სამხედრო დახმარება** მოიცავს პარტნიორი ქვეყნისათვის შეიარაღებული ძალების წვრთნასა და აღჭურვას, სამხედრო მოსამსახურეების განათლებას, ფინანსურ ან სხვა სახის მხარდაჭერას, რომელიც პირდაპირ არის დაკავშირებული მისი თავდაცვის შესაძლებლობების გაძლიერებასთან.

– **პოლიტიკური და ეკონომიკური დახმარება** გულისხმობს ბენეფიციარ ქვეყანაში პოლიტიკური სტაბილურობის, ეკონომიკური რეფორმებისა და დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებას.

შეერთებული შტატების საგარეო დახმარების 60% სწორედ ეკონომიკური და ჰუმანიტარული დანიშნულების იყო და ძირითადად ბენეფიციარ ქვეყნებში სიღატაკის აღმოფხვრას ისახავდა მიზნად. მან გადამწყვეტი როლი შეასრულა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ განადგურებული ევროპის ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში.

საგარეო დახმარება – აშშ-ის შეკავების დოქტრინისა და ევროპის რეკონსტრუქციის მთავარი მექანიზმი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ

1945 წელს ევროპის ორ ნაწილად დაყოფამ თითქმის ნახევარი საუკუნით განსაზღვრა ევროატლანტიკური არეალისა და მილიონობით ადამიანის ბედი. მეორე მსოფლიო ომის დროს სამი მოკავშირის (აშშ, საბჭოთა კავშირი, დიდი ბრიტანეთი) გამარჯვებამ შექმნა მოლოდინი, რომ ევროპის კონტინენტზე ჰარმონიული თანაცხოვრება და სტაბილური განვითარება იქნებოდა შესაძლებელი. სამწუხაროდ, ეს მხოლოდ ილუზია იყო [3, 8-10].

დასავლეთ ევროპელი ლიდერები და მათი მოკავშირეები რეალისტურად აფასებდნენ საბჭოთა კავშირის ექსპანსიური პოლიტიკიდან მომდინარე საფრთხეებს. ცხადი იყო, რომ გამარჯვებულმა საბჭოთა კავშირმა ევროპაში ფაშისტური დიქტატურის ჩანაცვლება არანაკლებ საფრთხის შემცველი კომუნისტური დიქტატურით განიზრახა. მაშინ, როცა დასავლეთ ევროპის ქვეყნებმა შეასრულეს ომის შემდგომ ნაკისრი ვალდებულებები, სამხედრო ძალების შემცირებისა და სამხედრო მოსამსახურეების დემობილიზაციასთან დაკავშირებით, საბჭოთა კავშირი არ ჩქარობდა ამ ვალდებულებების შესრულებას და ევროპის კონტინენტზე სამხედრო ძალების სრულ შემადგენლობას ინარჩუნებდა.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ევროპაში უსაფრთხოების განსაკუთრებული გარემოებები ჩამოყალიბდა, საბჭოთა კავშირს მომგებიანი პოზიცია ეკავა და ცდილობდა შექმნილი სტრატეგიული უპირატესობით მანიპულირებას. კერძოდ, საბჭოთა კავშირის არმია უკუქცეული მტრის დევნისას ღრმად შეიჭრა აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ტერიტორიაზე, მოახდინა რა პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, რუმინეთის, უნგრეთის, ბულგარეთის, ასევე, ავსტრიისა და გერმანიისა ტერიტორიების ოკუპაცია, მან დაიკავა სტრატეგიული პოზიციები. ოკუპირებულ ქვეყნებში საბჭოთა კავშირი მოსკოვისადმი ლოიალურ და კომუნისტური იდეოლოგიის მიმდევარ რეჟიმებს ახალისებდა. ასევე ნათელი იყო, რომ საბჭო-

თა კავშირის ზრახვები აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნებით არ შემოიფარგლებოდა. საბჭოთა კავშირის ლიდერს, სტალინს სურდა კომუნისტური იდეოლოგიის გავრცელება და მისი გავლენის სფეროს გაფართოება ცენტრალურ და დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში, კერძოდ, საფრანგეთში, იტალიასა და საბერძნეთში, სადაც კომუნისტური იდეოლოგიისადმი სიმპათიით განწყობილი პოლიტიკური ძალების მომძლავრების ტენდენცია თვალში საცემი იყო.

სწორედ ამ პერიოდში „ლენდ ლიზის" პროგრამისა და „მარშალის გეგმის" ამოქმედება გახლდათ ის ორი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, რამაც მსოფლიოში მშვიდობისა და სტაბილურობის მიღწევის საქმეში ამერიკის გადამწყვეტ როლს დაუდო საფუძველი.

კანონი „ლენდ-ლიზის" შესახებ შეერთებულმა შტატებმა 1941 წლის მარტში მიიღო და ის ომში ჩართული იმ ქვეყნების სამხედრო დახმარებას ითვალისწინებდა, რომელთა დახმარებას აშშ-ის პრეზიდენტი, თავისი სტრატეგიული ინტერესებიდან გამომდინარე, საჭიროდ ჩათვლიდა. პროგრამა ითვალისწინებდა ომში ჩართული ქვეყნების სამხედრო ტექნიკით მხარდაჭერას და გაწეული დახმარების სწრაფ დაბრუნებას არ მოითხოვდა, რაც ამ შესაძლებლობას მიმზიდველს ხდიდა. თავდაპირველად, მის მიზანს დიდი ბრიტანეთის დახმარება წარმოადგენდა; 1941 წლის აპრილის შემდეგ ეს დაეხმარება გაფართოვდა და საბერძნეთს, იუგოსლავიას და ჩინეთს, ხოლო იმავე წლის სექტემბრიდან კი საბჭოთა კავშირსაც მისწვდა. მეორე მსოფლიო ომის დროს აშშ-მა ამ პროგრამით 41.9 მილიარდი აშშ დოლარი დახარჯა და 40-მდე ქვეყანას დაეხმარა.

რომ არა „ლენდ-ლიზის" პროგრამა, სტალინს ძალიან გაუჭირდებოდა ან საერთოდ ვერ შეძლებდა ჰიტლერის არმიის მოგერიებას 1942-1943 წლებში, როდესაც დასავლეთიდან აღმოსავლეთში ევაკუირებული საბჭოთა ქარხნები ჯერ კიდევ ვერ უშვებდა ფრონტისთვის საკმარის საბრძოლო ტექნიკასა და აღჭურვილობას.

მეორე მსოფლიო ომის დროს იოსებ სტალინი მაღალ შეფასებას აძლევდა „ლენდ-ლიზის“ როლს [3]. 1943 წლის 30 ნოემბერს თეირანის ცნობილ კონფერენციაზე, უინსტონ ჩერჩილის დაბადების დღის აღსანიშნავ საზეიმო სადილზე, სტალინმა აღნიშნა: „მინდა გითხრათ, რუსეთის თვალსაზრისით, აშშ-ის პრეზიდენტმა ომში გამარჯვებისათვის რა გააკეთა. ამ ომში ყველაზე მნიშვნელოვანი ამბავი მანქანების წარმოებაა. აშშ-მა დაამტკიცა, რომ თვეში 8 000-დან 10 000-მდე თვითმფრინავის წარმოება შეუძლია. რუსეთს შეუძლია თვეში ყველაზე ბევრი 3 000 თვითმფრინავის წარმოება. ინგლისი აწარმოებს თვეში 3 000-3 500-მდე თვითმფრინავს, ძირითადად მძიმე ბომბდამშენებს. ამრიგად, ამერიკა არის მანქანების ქვეყანა. „ლენდ-ლიზით“ მიღებული ამ მანქანების გარეშე, ჩვენ ამ ომს წავაგებდით“ [4].

მიუხედავად ასეთი უზარმაზარი დახმარებისა, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სტალინმა უარი თქვა „ლენდ ლიზით“ მიწოდებული და ომს გადარჩენილი სამხედრო ტექნიკისა და მასალების საფასურის გადახდაზე. 11 მლრდ აშშ დოლარის (მაშინდელი ფასებით) ღირებულების საერთო დახმარების სანაცვლოდ, ამერიკელები თავდაპირველად მხოლოდ 2,7 მლრდ-ის კომპენსაციას ითხოვდნენ, შემდეგ კი ეს თანხა 800 მლნ დოლარამდე შეამცირეს. მოსკოვი მხოლოდ 300 მლნ დოლარის გადახდაზე იყო თანახმა. „ლენდ-ლიზის“ ვალის პირველი ნაწილი, 48 მლნ დოლარი საბჭოთა კავშირმა აშშ-ს მხოლოდ ბრეჟნევის მმართველობის პერიოდში, 1972 წელს დაუბრუნა. აშშ-ის „ლენდ-ლიზის“ დავალიანების საბოლოო ანგარიში უკვე საბჭოთა კავშირის მემკვიდრე რუსეთმა გაასწორა, როცა 2006 წელს მან ვაშინგტონს კიდევ 674 მლნ დოლარი გადაურიცხა.

საგარეო დახმარების მექანიზმის ამერიკის საგარეო პოლიტიკის რბილი ძალის ინსტრუმენტად ჩამოყალიბებაში გარდამტეხი გახლდათ პრეზიდენტ ტრუმენის „შეკავების დოქტრინა“, რომლის მიხედვითაც განისაზღვრა, რომ შეერთებული შტატები პოლიტი-

კურ, სამხედრო და ეკონომიკურ დახმარებას გაუწევდა ყველა დემოკრატიულ ქვეყანას, რომელიც გარე ან შიდა ავტორიტარული ძალებისგან საფრთხის წინაშე აღმოჩნდებოდა.

„შეკავების დოქტრინის" იდეა ამერიკელ დიპლომატს ჯორჯ კენანს[2] ეკუთვნის. 1947 წელს ჟურნალში „ფორეინ ეფეარს" (Foreign Affairs) სათაურით „საბჭოთა ქცევის წყაროები" კენანის სტატია გამოქვეყნდა. კენანი მოითხოვდა, რუსეთისათვის დაეპირისპირებინათ ნებისმიერი საწინააღმდეგო ძალა ნებისმიერ პუნქტში, სადაც კი საბჭოთა კავშირი თავისი გავლენის გაძლიერებას შეეცდებოდა. „შეკავების დოქტრინის" პრაქტიკულ განხორციელებას წარმოადგენდა ნატოს, სენტოს, სეატოს[3] სამხედრო ბლოკების შექმნა და სსრკ-ის საზღვრების სიახლოვეს აშშ-ის სამხედრო ბაზების განთავსება. შეკავების დოქტრინის ძირითადი მიზანი სსრკ-ზე სამხედრო-სტრატეგიული უპირატესობის მოპოვება და ისეთი კონკურენციის შექმნა იყო, რასაც საბჭოთა კავშირი ვერ გაუძლებდა.

კენანის მიერ „შეკავების დოქტრინის" იდეა გადაიზარდა ტრუმენის „შეკავების პოლიტიკაში", რასაც მისი განხორციელების სამოქმედო გეგმა – „მარშალის გეგმა" მოყვა. წყალგამყოფი ფაქტორი გახდა ბრიტანეთის მთავრობის განცხადება, რომ 1947 წლის 31 მარტიდან ის საბერძნეთის მთავრობისთვის სამხედრო და ეკონომიკური დახმარების გაწევას სამოქალაქო ომში ბერძნული კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ ვეღარ შეძლებდა. ტრუმენმა შეერთებული შტატების კონგრესს კომუნისტების წინააღმდეგ ბრძოლაში ბერძნული მთავრობისთვის მხარდაჭერა სთხოვა. მან, ასევე, მოითხოვა დახმარება თურქეთისთვის, რადგან ისიც ბრიტანული დახმარების იმედზე იყო. იმ დროისთვის, აშშ-ის მთავრობა მიიჩნევდა, რომ საბჭოთა კავშირი ბერძენ კომუნისტებს უჭერდა მხარს და შიშობდა, რომ სამოქალაქო ომში კომუნისტების

2 ჯორჯ კენანი (George F Kennon) – 1904-2005 წ წ. მოღვაწე ამერიკელი დიპლომატი, პოლიტოლოგი და ისტორიკოსი

3 ნატო – ჩრდილოატლანტიკური შეთანხმების ორგანიზაცია; სენტო – ცენტრალური ხელშეკრულების ორგანიზაცია; სეატო – სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ხელშეკრულების ორგანიზაცია

გამარჯვების შემთხვევაში ბერძნული პოლიტიკა საბჭოეთის ზეგავლენის ქვეშ აღმოჩნდებოდა.

დიდი ბრიტანეთის მიერ საბერძნეთის დახმარების შეწყვეტამ ტრუმენის ადმინისტრაციას უბიძგა, მოულოდნელად შეეცვალა მისი ტრადიციული საგარეო პოლიტიკა და აქტიურად ჩარეულიყო ამ რეგიონში. შესაბამისად, პრეზიდენტმა ტრუმენმა კონგრესს სთხოვა 400 მილიონი აშშ დოლარის დახმარება საბერძნეთისა და თურქეთის მთავრობებისთვის და მხარი დაუჭირა ამერიკელი სამოქალაქო და სამხედრო პერსონალის, ასევე, აღჭურვილობის გაგზავნას რეგიონში.

ტრუმენმა თავისი მოთხოვნა ორი მთავარი მიზეზით გაამართლა: ბერძნულ სამოქალაქო ომში კომუნისტების გამარჯვება თურქეთის პოლიტიკურ სტაბილურობას საფრთხეს შეუქმნიდა, რაც შუა აღმოსავლეთის სტაბილურობას შეარყევდა. პრეზიდენტი ამ რეგიონს შეერთებული შტატების ეროვნული უსაფრთხოებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვნად მიიჩნევდა. შეერთებული შტატები ვალდებული იყო დახმარებოდა თავისუფალ ხალხს ტოტალიტარული რეჟიმების წინააღმდეგ, რადგან ავტორიტარიზმის გავრცელება ძირს უთხრიდა საერთაშორისო მშვიდობის საფუძვლებს და შესაბამისად, აშშ-ის უსაფრთხოებასაც. ტრუმენის დოქტრინის თანახმად, შეერტებული შტატების პოლიტიკა თავისუფალი ხალხების მხარდაჭერის პოლიტიკად და, ამასთანავე, ევროატლანტიკურ სივრცეში ამერიკის უსაფრთხოების გარანტორად ჩამოყალიბდა.

პრეზიდენტ ტრუმენის გადაწყვეტილებაზე გავლენა სხვა საგარეო პოლიტიკურმა ფაქტორებმაც მოახდინა. განსაკუთრებით აღსანიშნავია 1946 წელს განვითარებული ოთხი მოვლენა, რომელმაც, ფაქტობრივად, გაანადგურა აშშ-სა და საბჭოთა კავშირს შორის ომისშემდგომი თანამშრომლობის პერსპექტივა:

1. საბჭოთა კავშირის უარი ჩრდილოეთ ირანიდან ჯარების გაყვანაზე 1946 წლის დასაწყისში (რაც 1943 წლის თეირანის დეკლარაციის პირობებს ეწინააღმდეგებოდა);

2. საბჭოთა ზეწოლა ირანის მთავრობაზე ნავთობის მოპოვების კონცესიების მისაღებად და იმავდროულად, აზერბაიჯანელი სეპარატისტების მხარდაჭერა ირანის ჩრდილოეთში;
3. საბჭოთა კავშირის ხელისუფლების მცდელობა, რომ თურქეთის მთავრობას თურქეთის სრუტეებში ბაზების განთავსებისა და ტრანზიტის უფლება მიეცა;
4. საბჭოთა მთავრობის უარი ბარუხის გეგმაზე, რომელიც ითვალისწინებდა ბირთვული ენერგიისა და იარაღის საერთაშორისო კონტროლს.

ტრუმენმა განაცხადა, რომ ამერიკას აღარ შეეძლო პასიურად ეყურებინა საბჭოთა ტოტალიტარიზმის ძალადობრივი გაფართოებისთვის დამოუკიდებელ ქვეყნებში, რადგან ამერიკის ეროვნული უსაფრთხოება აღარ შემოიფარგლებოდა მხოლოდ მისი გეოგრაფიული საზღვრებით. ტრუმენის დოქტრინა აშშ-ს ავალდებულებდა, აქტიურად დახმარებოდა დემოკრატიულ ქვეყნებს, როცა ეს შეერთებული შტატების ინტერესებში შედიოდა [5].

1948 წლის 2 აპრილს პრეზიდენტმა ტრუმენმა ხელი მოაწერა კანონს ევროპის რეკონსტრუქციის შესახებ, რომელსაც მისი ინიციატორისა და ავტორის, შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის, ჯორჯ მარშალის სახელი ეწოდა და მარშალის გეგმის სახელითაა ცნობილი. გეგმის შედეგად 16-მა ევროპულმა სახელმწიფომ აშშ-ისგან 17 მილიარდ აშშ დოლარზე მეტი დახმარება მიიღო [3, 10], რაც დღევანდელი კურსით და ინფლაციის გათვალისწინებით, 130 მილიარდზე მეტია.

გეგმაში მონაწილეობდა 16 ქვეყანა: დიდი ბრიტანეთი, ირლანდია, საფრანგეთი, გერმანია, პორტუგალია, დანია, ნორვეგია, შვედეთი, ბელგია, ავსტრია, შვეიცარია, საბერძნეთი, ისლანდია, ნიდერლანდები, იტალია და თურქეთი.

აღსანიშნავია, რომ „მარშალის გეგმა“ ევროპის სახელმწიფოების რეკონსტრუქციისა და ეკონომიკის აღდგენასთან ერთად გერმანიის სტაბილური განვითარების ხელშეწყობასაც ითვალისწინებდა. დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებისათვის „მარშალის გეგმით“

გათვალისწინებული დახმარების გასანაწილებლად შეიქმნა „ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობის კომიტეტი". ეს გეგმა მოგვიანებით ევროპის აღორძინების პროგრამად გადაიქცა. აშშ-ის მოთხოვნით, აღნიშნული დახმარების შესაბამის პრიორიტეტებზე განაწილება ევროპელებს უნდა ეკისრათ. ამ მიზნით, აღნიშნული ფორმატები კონტინენტის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციად გადაკეთდა. „მარშალის გეგმით" პრეზიდენტ ტრუმენის მიერ გამოცხადებული დოქტრინითა და ჩრდილოატლანტიკური ალიანსის შექმნით, შეერთებული შტატები აქტიურად ჩაერთო დასავლეთ ევროპაში მიმდინარე პროცესებში.

„მარშალის გეგმის" საშუალებით, დაახლოებით ოთხ წელიწადში[4] ევროპის ეკონომიკა ომამდელ მდგომარეობას დაუბრუნდა. შემდეგ კი დაიწყო სწრაფი ზრდა, რასაც დიდწილად ეკონომიკური ინტეგრაცია და თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა განაპირობებდა.

ისტორიკოსები და ექსპერტები „მარშალის გეგმას" ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის უდიდეს მიღწევად მიიჩნევენ. მისი მიზანი არა მხოლოდ ომის შემდგომი ევროპის აღდგენა, არამედ ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოზიციების გაძლიერება იყო.

„მარშალის გეგმა" არ იყო მხოლოდ უანგარო დახმარება ევროპელთა მიმართ. ის ამერიკის ეროვნულ ინტერესებს ემსახურებოდა და ჰქონდა, როგორც გეოპოლიტიკური, ასევე ეკონომიკური განზომილება. გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, გეგმის მიზანი კონტინენტიდან საბჭოთა კავშირის გავლენების შეკავება და უკუგდება იყო. შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი, ჯორჯ მარშალი შიშობდა, რომ ევროპაში ომის შედეგად შექმნილი უმძიმესი ეკონომიკური ვითარება მასობრივ შიმშილამდე მიიყვანდა კონტინენტს, რაც დასუსტებული ევროპის მიტაცებისა და „განითლების" ოცნების ასრულებას ხელსაყრელ პირობას შეუქმნიდა.

რაც შეეხება ეკონომიკურ კონტექსტს, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შეერთებულ შტატებში წარმოების მაჩვენებელი უმაღლეს

4 „მარშალის გეგმა" 1952 წლამდე გაგრძელდა.

ნიშნულზე იყო. შესაბამისად, ამერიკელ მწარმოებლებს სჭირდებოდათ ბაზარი, სადაც თავიანთ ნაწარმს გაყიდდნენ, თუმცა, ევროპელებს არ გააჩნდათ საკმარისი მსყიდველობითი უნარი. მარშალის გეგმის ბიუჯეტი შეერთებული შტატების ბიუჯეტის დაახლოებით 13-15%-ს შეადგენდა.

უნდა აღინიშნოს, რომ ევროპის დასახმარებლად ასტრონომიული თანხის გამოყოფაზე ამერიკელი კანონმდებლების დათანხმება ადვილი არ აღმოჩნდა. სიტუაციის ჯორჯ მარშალის სასიკეთოდ შემობრუნებას ჩეხოსლოვაკიაში 1948 წლის კომუნისტურმა გადატრიალებამ შეუწყო ხელი. გადატრიალებამ, რომელიც კრემლის მიერ იყო ჩაფიქრებული, სათავე ჩეხოსლოვაკიაში კომუნისტური პარტიის 40-წლიან სასტიკ მმართველობას დაუდო. კომუნისტურმა გადატრიალებამ მკაფიოდ დაანახა ამერიკელ კანონმდებლებს მარშალის გეგმის საჭიროება.

ჯორჯ მარშალს ევროპის რეკონსტრუქციის პროგრამაში ევროპის ყველა ქვეყნის, მათ შორის, საბჭოთა კავშირის, ჩართვა სურდა. თუმცა, ვაშინგტონმა კრემლისგან მტკიცე და ცივი უარი მიიღო. სტალინი მტრულად იყო განწყობილი მარშალის გეგმის მიმართ და მას კონტინტენტზე „ამერიკული იმპერიალიზმის" გავრცელების საშიშროებად მიიჩნევდა. შესაბამისად, აღმოსავლეთ ევროპის ბლოკის ქვეყნები სტალინის განკარგულებით არ იქნენ დაშვებული გეგმაში მონაწილეობისთვის.

„მარშალის გეგმის" წარმატებით განხორციელების შემდეგ, 1951 წელს ამოქმედდა ორმხრივი უსაფრთხოების აქტი (Mutual Security Act), რომელმაც მანამდე მოქმედი მულტიმილიარდიანი სამხედრო და ეკონომიკური დახმარების პროგრამები გააერთიანა. მისი მიზანი გახლდათ მეგობრული ქვეყნების დახმარებით აშშ-ის უსაფრთხოების დაცვა, საგარეო პოლიტიკის ხელშეწყობა და საერთო მშვიდობისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა.

„მარშალის გეგმამ" ფასდაუდებელი დახმარება გაუწია კონტინენტურ ევროპას, რომელსაც მეორე მსოფლიო ომის დამანგრეველი შედეგების გამო, ეკონომიკა ფაქტობრივად არ გააჩნდა.

რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, „მარშალის გეგმამ“ ევროპული ქვეყნების გაერთიანებას მისცა ბიძგი. მისი ეკონომიკური განვითარების სტრატეგია ევროპის ეკონომიკის ლიბერალიზაციასა და ევროპულ ქვეყნებს შორის თავისუფალი სავაჭრო სივრცის შექმნას ითვალისწინებდა. მომავალში სწორედ ეს ინსტრუმენტი ჯერ ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის ინდუსტრიის, შემდეგ კი ევროპის ეკონომიკური გაერთიანების (ევროკავშირის) შექმნის საფუძველი გახდა.

აშშ საერთაშორისო დახმარების სააგენტოს USAID-ის დაარსება

1961 წლამდე შეერთებული შტატები პარტნიორების დახმარებას სხვადასხვა უწყებების საშუალებით ახორციელებდა და მათი საქმიანობის მონიტორინგი და კოორდინირება რთული იყო. სწორედ საგარეო დახმარების უკეთ კოორდინირების მიზნით, კონგრესის მხარდაჭერით, პრეზიდენტმა კენედიმ 1961 წელს ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტო – USAID დააარსა. მას შემდეგ სააგენტო აშშ საგარეო დახმარების გაწევის მთავარ ინსტრუმენტად იქცა. 130-მდე ქვეყანაში განთავსებული მისიების საშუალებით შეერთებული შტატები ხელს უწყობდა პარტნიორ ქვეყანაში სიღატაკის დამარცხებას, დემოკრატიისა და კარგი მმართველობის გაძლიერებას, კატასტროფის შედეგების აღმოფხვრას, ეკონომიკის ზრდას, ჯანმრთელობის დაცვას, სოფლის მეურნეობის განვითარებას და სურსათის უვნებლობის დაცვას [6].

ამერიკის საგარეო დახმარება ძირითადად ორ კატეგორიად იყოფა: 1. უსაფრთხოება და თავდაცვა; 2. ეკონომიკა. დახმარების მეტი წილი პარტნიორების ეკონომიკური შესაძლებლობების განვითარებისკენაა მიმართული. მაგალითად, 2020 წლის მონაცემებით, აშშ-ს საგარეო დახმარების პორტფელი შეადგენდა 23 მილიარდ აშშ დოლარს [6] და მისი 76%-ი პარტნიორ ქვეყნებში პოლიტიკურ-ეკონომიკური ვითარების გაუმჯოსებისკენ იყო მიმართული.

2022 ფისკალურ წელს, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური რესურსი (ბიუჯეტი) დაახლოებით 58.5 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენდა და ის შედიოდა უფრო ფართო ამერიკული საგარეო დახმარების ვალდებულებებში, რომელმაც 2022 ფისკალურ წელს 70.4 მილიარდ აშშ დოლარს მიაღწია. შესაბამისად, 2022 წელს საგარეო დახმარებების ვალდებულებებმა შეადგინა დაახლოებით 1%-მდე ფედერალური ბიუჯეტის საერთო მოცულობის, რომელიც 6.1 ტრილიონი აშშ დოლარი იყო. ეს მაჩვენებლები შეესაბამება ისტორიულ ტენდენციებს, რომლის მიხედვითაც, აშშ-ის საგარეო დახმარების ვალდებულებები ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში საშუალოდ ფედერალური ბიუჯეტის 2%-ზე ნაკლებს შეადგენდა, ხოლო USAID-ის წილი მასში 0,4-0,5% იყო. არსებული ინფორმაციის ანალიზის მიხედვით, ამერიკის შეერთებული შტატები საგარეო დახმარების ყველაზე დიდი (თუმცა არა ერთაერთი) ერთჯერადი მიმწოდებელია მსოფლიოში (მთლიანი დოლარის მოცულობით) [7].

იხ. დიაგრამა 1



მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, შეერთებულმა შტატებმა თითქმის 4 ტრილიონი აშშ დოლარი (კურსის ცვლილებისა და ინფლაციის გათვალისწინებით) გასცა საერთაშორისო დახმარების სახით. აღასანიშნავია, რომ, მონეტარული თვალსაზრისით, აშშ საგარეო

დახმარების ყველაზე დიდი გამცემია, თუმცა, ევროპის განვითარებული ქვეყნები მშპ-ს უფრო მაღალ პროცენტს ხარჯავენ საერთაშორისო დახმარებაზე, ვიდრე – აშშ [7].

იხ. დიაგრამა 2: ყველაზე დიდი განვითარების დახმარების გამცემი ქვეყანა მშპ-თან მიმართებაში



აშშ-ის საგარეო დახმარების პორტფელის 60%-ს (2025 წლის 20 იანვრამდე) შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID) უწევდა კოორდინაციას. თუმცა, ის არ იყო საგარეო დახმარების მართვის ერთადერთი უწყება. ამერიკელი ხალხის სახელით დახმარება 20-მდე სხვა დეპარტამენტის ან სააგენტოს მიერ გაიცემოდა. მათ შორის, თავდაცვის დეპარტამენტის, სახაზინო დეპარტამენტის, სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის, მშვიდობის კორპუსის და ეკონომიკური განვითარებისკენ მიმართული „ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციასა“ (Millennium Challenge Corporation) და სხვა უწყებების მიერ.

„მშვიდობის კორპუსი“ (Peace Corp) 1961 წელს შეიქმნა და მისი საშუალებით ამერიკელ მოხალისეებს, ძირითადად ახალგაზრდებს, საშუალება ეძლეოდათ წასულიყვნენ სხვა ქვეყნებში და საკუთარი ცოდნითა და გამოცდილებით ადგილობრივ მოსახლეობას უფასოდ დახმარებოდნენ. ეს იყო ამერიკული „რბილი ძალის“ მნიშვნელო-

ვანი ინსტრუმენტი, რომლის საშუალებითაც ადგილობრივ მოსახლეობას ეხმარებოდნენ ინგლისური ენის შესწავლაში. თავად კი ეცნობოდნენ ადგილობრივ კულტურას, ისტორიას, ტრადიციებს. წესდების მიხედვით, ამერიკელი მოხალისე 3-თვიანი წვრთნის შემდეგ, ორი წლის მანძილზე თავის მოვალეობას ასრულებდა ამა თუ იმ ქვეყანაში. 1961-2013 წლებში ამერიკის 210 ათასმა მოხალისემ 139 ქვეყანაში იმუშავა. ამ ინსტრუმენტის როლი ამერიკული კულტურისა და ცხოვრების წესის პოპულარიზაციაში უმნიშვნელოვანესი იყო [8, 354].

„ათასწლეულის გამოწვევის კორპორაცია" (Millenium Challenge Corporation) [8] აშშ-ის დამოუკიდებელი სააგენტოა, რომელიც 2004 წელს შეიქმნა. მის მიზანს განვითარებად ქვეყნებში ეკონომიკური ზრდის საშუალებით სიღარიბის დაძლევა წარმოადგენს. 2004-2023 წლებში ორგანიზაციამ საერთაშორისო დახმარების სხვადასხვა მექანიზმით განვითრების პროგრამები 54 ქვეყანაში განახორციელა და 15 მილიარდი აშშ დოლარის დახმარება გაუწია პარტნიორ ქვეყნებს [9].

როგორ იყენებს შეერთებული შტატები საერთაშორისო დახმარებას?

შეერთებული შტატები საერთაშორისო დახმარებას საგარეო პოლიტიკის ინსტრუმენტად და საერთშორისო არენაზე თავისი ინტერესების გასაძლიერებლად იყენებს. ამასთანავე, ის მიზნად ისახავს დემოკრატიული და ჰუმანიტარული შედეგების ხელშეწყობას.

2022 წელს რუსეთის მიერ უკრაინაზე თავდასხმის პასუხად შეერთებულმა შტატებმა გაზარდა საგარეო დახმარების მოცულობა უკრაინაში, რამაც უკრაინა აშშ-ს საგარეო დახმარების მიმღებ ქვეყნებს შორის მოცულობით პირველ ადგილას დააყენა. უკრაინის შემდეგ, ამერიკის სერიოზულ დახმარებას იღებენ ეთიოპია, იემენი, სამხრეთ სუდანი, სომალი, ნიგერია, ავღანეთი, კონგო, სირია და კენია [7].



რამდენად ეფექტიანია საერთაშორისო დახმარება? [6] ამ კითხვაზე ერთმნიშვნელოვანი პასუხი არ არსებობს. ზოგიერთი ექსპერტი აღნიშნავს, რომ არ არსებობს საკმარისი ანგარიშვალდებულება ქვეყნებში, რომლებიც დახმარებას იღებენ, რაც ართულებს მისი ეფექტიანობის შეფასებას. ეს საკითხი განსაკუთრებით კრიტიკულია იმ შემთხვევებში, როდესაც დახმარების გრძელვადიანი მიზნები ისეთ ამოცანებს ემსახურება, როგორიცაა მდგრადი განვითარება ან მშვიდობიანი მსოფლიოს შექმნა, რაც მოკლევადიან პერსპექტივაში რთული გასაზომია.

ზოგიერთ შემთხვევაში საერთაშორისო დახმარების შედეგები უფრო მარტივად იდენტიფიცირდება. მაგალითად, C ჰეპატიტის ელიმინაციის სახელმწიფო პროგრამა საქართველოში 2015 წლის 21 აპრილს ამოქმედდა. პროექტი განხორციელდა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ, ამერიკის შეერთებული შტატების დაავადებათა კონტროლის ცენტრისა და მედიკამენტის მწარმოებელი კომანია „გილეად"-ის მხარდაჭერით. პროგრამის მონეტარულმა ღირებულებამ 12-15 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. პროგრამით ისარგებლა 80 000 ადამიანმა; 57 000 ადამიანი სრულად განიკურნა. პროგრამის საშუალებით „ცე ჰეპატიტის" პრობლემა ქვეყანაში სრულად მოიხსნა დღის წესრიგიდან [11].

2022 წლისთვის, პრეზიდენტის საგანგებო პროგრამამ შიდსის წინააღმდეგ (PEPFAR) 25 მილიონზე მეტ ადამიანს გაუწია სამედიცინო დახმარება და 340,000-ზე მეტი ჯანდაცვის მუშაკი გადაამზადა მთელ მსოფლიოში (ძირითადად, საჰარის სამხრეთ აფრიკაში). როდესაც PEPFAR-ი 2003 წელს ამოქმედდა, აფრიკაში მხოლოდ 50,000 ადამიანს ჰქონდა წვდომა ანტირეტროვირუსულ მკურნალობაზე. მსგავსი ჰუმანიტარული და განვითარების პროგრამები აშკარად ადამიანების სიცოცხლეს იცავენ და გრძელვადიან პროგრესს უწყობენ ხელს [12].

თუმცა, სხვა პროგრამების ეფექტიანობა უფრო საკამათოა. მიუხედავად იმისა, რომ 2002 წლიდან ავღანეთმა 100 მილიარდ აშშ დოლარზე მეტი ამერიკული დახმარება მიიღო, USAID-ის რამდენიმე პროექტი არც კი დასრულებელა და აშშ პოლიტიკის ცვლილების გამო, მისი ეფექტიანობა არც შეფასებულა. ზოგიერთ შემთხვევაში დახმარების არასწორი გამოყენება კორუფციას აღრმავებს, არაეფექტიან მმართველობას ახალისებს და ავტორიტარულ რეჟიმებს აძლიერებს.

ზოგადად, აშშ-ის საერთაშორისო დახმარებამ გლობალურად ნამდვილად მოახდინა მასშტაბური გავლენა: მან ხელი შეუწყო ევროპის აღდგენას მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ჰუმანიტარული დახმარება გასწია აფრიკაში, გადამწყვეტი იყო მისი როლი მსოფლიოში ინფექციებისა და პანდემიის წინააღმდეგ ბრძოლაში.

აშშ-ის კონგრესის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის 2023 წლის მონაცემების მიხედვით, შეერთებული შტატების საერთაშორისო დახმარების ძირითადი ეტაპები შემდეგნაირად კლასიფიცირდა [7]:

- **ევროპის აღდგენა მარშალის გეგმით 1947-1953**: 1948 წლის 3 აპრილს პრეზიდენტმა ტრუმენმა ხელი მოაწერა ეკონომიკური თანამშრომლობის აქტს, რომლის შედეგად შეიქმნა ეკონომიკური თანამშრომლობის ადმინისტრაცია (ECA). მისი მიზანი პროგრამის მართვა და დახმარების ფაქტობრივი განაწილება იყო.
- **ვიეტნამის ომი და კომუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლა 1946-1977**: ვიეტნამის ომში, აშშ სამხრეთ ვიეტნამს მხარს უჭერდა, რათა ჩრდილოეთ ვიეტნამის კომუნისტური რეჟიმი არ გაძლიერებულიყო. თუმცა, ომის დასრულების შემდეგ, ამერიკამ დახმარება შეწყვიტა.

- **მწვანე რევოლუციის წახალისება: 1959-1970:** აშშ-მა ინდოეთს მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი სასოფლო მეურნეობის განვითარებაში, რაც დიდი შიმშილის დაძლევაში დაეხმარა.
- **კომუნისტური საფრთხის შეკავება ლათინურ ამერიკაში 1961-1968:** 1961 წელს პრეზიდენტმა ჯონ კენედიმ წამოიწყო ალიანსი, რომელიც მიზნად ისახავდა ლათინური ამერიკის ქვეყნებში სიღარიბისა და სოციალური უთანასწორობის შემცირებას. თუმცა, 1973 წლისთვის პროგრამა დაიშალა, რადგან ვერ მიაღწია დასახულ მიზნებს.
- **ახლო აღმოსავლეთში სტაბილურობის უზრუნველყოფა 1976 წ-დან დღემდე:** ცივი ომის პერიოდში, აშშ-მა სამხედრო დახმარება გამოუყო ისრაელს და ეგვიპტეს, რათა რეგიონში საბჭოთა კავშირის გავლენა შეეზღუდა.
- **ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლა 1982-2000-იანები:** აშშ-მა ლათინური ამერიკის ქვეყნებს დახმარება გამოუყო, რათა რეგიონში ნარკოტიკების წარმოება და ტრეფიკინგი შეემცირებინა. კოლუმბიამ მიიღო დიდი რაოდენობით სამხედრო და ფინანსური დახმარება, მაგრამ 2017 წლის მონაცემებით, ქვეყანა კვლავ აწარმოებდა მსოფლიოს კოკაინის 70%-ს.
- **ტერორიზმთან ბრძოლა 2001-დღემდე:** 9/11-ის ტერაქტების შემდეგ, აშშ-მა ავღანეთსა და ერაყში საომარი ოპერაციები გაშალა, რამაც გამოიწვია ხანგრძლივი კონფლიქტი და უზარმაზარი დახმარების პროგრამები.
- **შიდსის წინააღმდეგ ბრძოლა აფრიკაში 2003-დღემდე:** PEPFAR-ის პროგრამამ 2004 წლიდან დღემდე 25 მილიონზე მეტ ადამიანს მიაწოდა სამედიცინო დახმარება.
- **უკრაინის მხარდაჭერა 2022-დღემდე:** რუსეთის მიერ უკრაინაში ფართომასშტაბიანი შეჭრის შემდეგ შეერთებული შტატები გახდა უკრაინის მთავარი სამხედრო, ჰუმანიტარული და ფინანსური დახმარების მიმწოდებელი. 2022 წლიდან აშშ-მა უკრაინას 100 მილიარდი დოლარი გამოუყო.

დასკვნა

მარშალის გეგმის განხორციელების შემდეგ შეერთებული შტატები თავისი საგარეო დახმარების ინსტრუმენტებით მნიშვნელოვან როლს ასრულებდა გლობალური პოლიტიკის ფორმირებაში. მისი ეფექტიანობა შეიძლება საკამათო იყოს, მაგრამ გავლენა უდავოდ მასშტაბურია. მისი არქიტექტურის მთავარი პრინციპი ყოველთვის ქვეყნის საგარეო-პოლიტიკური პრიორიტეტებისა და საგარეო დახმარების მიზნებისა და ამოცანების თანხვედრა იყო. მისი მიმღები მხოლოდ ის ქვეყნები გახლდათ, რომელიც ამერიკის უსაფრთხოების მიზნებს იზიარებდნენ და დემოკრატიული განვითარების გზაზე იდგნენ.

ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტი პარტნიორი ქვეყნების მიმართ საერთო სტრატეგიულ მიზნებს და განხორციელების გეგმებს ადგენდა. ამ პროცესში გათვალისწინებული იყო ბენეფიციარი ქვეყნის ინტერესებიც. შესაბამისად დგებოდა საპროგრამო განაცხადი, ცხადდებოდა კონკურსი და ვლინდებოდა გამარჯვებული კომპანია, რომელიც კონკრეტულ პროგრამას ახორციელებდა. განმახორციელებელი ორგანიზაცია ძირითადად ამერიკაში დაარსებული არასამთავრობო ორგანიზაცია იყო, რომელიც პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე, მცირე საერთაშორისო და ადგილობრივ კომპანიებთან ერთად კონსორციუმს ადგენდა და პროგრამის განხორციელებას იწყებდა.

აშშ კონგრესის კვლევითი სამსახურის მიერ განხორციელებული კვლევის მიხედვით, არასამთავრობო ორგანიზაციები (NGO) ახორციელებდნენ USAID-ის პროგრამების უმეტესობას (52%), ხოლო საჯარო საერთაშორისო ორგანიზაციები მის 34% მართავდნენ. აშშ-ის მთავრობა პასუხისმგებელი იყო დაახლოებით 10%-ზე, ხოლო უცხოური მთავრობები ახორციელებდნენ დაახლოებით 4%-ს. პროგრამა ძირითადად საშუალოვადიანი და 3-5 წელზე გათვლილი იყო. დახმარების გაცემა ხდებოდა სხვადასხვა მექანიზმებით, მათ შორის, გრანტებისა და კონტრაქტების სახით. საგარეო დახმარების პროგრამებმა გამოიწვია, როგორც დემოკრატიული პროცესე-

ბის განვითარება და ეკონომიკის ზრდა ბენეფიციარ ქვეყნებში, ასევე ამერიკის საკონსულტაციო ბიზნესის განვითარება.

ჩვენ შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ძლიერი ლიდერობის პირობებში, საგარეო დახმარების მრავალმილიარდიანი ეკონომიკურ-პოლიტიკური პორტფელითა და ნატო-ს სახით ძლიერი შემაკავებელი სამხედრო-პოლიტიკური ინსტრუმენტით, ევროპის კონტინენტზე 70 წლის მანძილზე მშვიდობა იქნა შენარუნებული. ეს ის პერიოდია, რომელიც იზოლაციონიზმიდან გამოსული შეერთებული შტატები მსოფლიო წესრიგის განმსაზღვრელ ფუნქციას ახორციელებდა.

ფაქტია, რომ 2024 წელს ოვალურ ოფისში შესული პრეზიდენტი ტრამპი თავის გუნდთან ერთად ამერიკის გლობალური პოლიტიკისა და დემოკრატიის მანამდე არსებული ფორმის მწყალობელი არ არის. შესაბამისად, მის საშინაო და საგარეო პოლიტიკას განსაზღვრავს „ამერიკა უპირველეს ყოვლისა" სტრატეგია, რაც საგარეო დახმარების ინსტრუმენტის მიმართ მიდგომას ძირეულად ცვლის და საერთაშორისო ურთიერთობებს დეგლობალიზაციისკენ მიაქანებს. რა იქნება მომავალში, ძნელი სათქმელია, თუმცა, რთულად წარმოსადგენია, რომ შეერთებული შტატები ოკეანის გაღმა გამოიკეტება და თავის გლობალურ ინტესებზე საბოლოოდ იტყვის უარს.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. The evolution of US Foreign aid, Current History VOL. 50, NO. 298, 3 June 1966 https://www.jstor.org/stable/45311504?read-now=1&seq=1#page_scan_tab_contents
2. Benjamin M. Weissman Rutgers University Newark, New Jersey, „Herbert Hoover and Famine Relief to Soviet Russia: 1921-1923" Hoover Institution Publications 134 https://dokumen.pub/qdownload/herbert-hoover-and-famine-relief-to-soviet-russia-1921-1923-0817913416-9780817913410.html
3. ელენე გოცაძე, თამარ მედულაშვილი, „ნატო და ევროკავშირი- სა-

ქართველოს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები“, საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ, 2015.
4. ბორის სოკოლოვი, „ლენდ-ლიზის დავიწყებული როლი საბჭოთა კავშირის გამარჯვებაში“, „რადიო თავისუფლება“, 7 მაისი, 2020https://www.radiotavisupleba.ge
5. „The Truman Doctrine“, US Department of State https://2001-2009.state.gov/r/pa/ho/time/cwr/82210.htm
6. https://www.foreignassistance.gov/aid-trends
7. Where and why the United States gives foreign aid has changed over time. საგარეო ურთიერთობათა საბჭო (Council on Foreign Affairs) https://education.cfr.org/learn/reading/brief-history-us-foreign-aid Apri 5, 2025.
8. ვასილ კაჭარავა, „დემოკრატიის გაკვეთილები, ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკური ისტორია 1877-2008“, თბილისი. 2024.
9. Congressional Budget Justification (CBJ): Congressional Budget Justification, FY 2023 March 2022 https://www.mcc.gov/resources/story/story-cbj-fy2023-executive-summary
10. https://www.oecd.org/en/topics/official-development-assistance-oda.html?oecdcontrol-7b40ff0a52-chartId=e014987fc7
11. აივ ინფექციისა და ჰეპატიტზე ტესტირების კვირეული; საზოგადოებრივი მაუწყებელი, გადაცემა „მოამბე“, 20 მაისი, 2025, https://1tv.ge/video/gldanis-didi-tbis-dashroba-mosakhleobas-safrtkhes-uqmnis-ra-vitarebaa-qveyanashi-aiv-infeqciisa-da-c-hepatitis-gavrcelebis-tvalsazrisit
12. https://www.state.gov/about-us-pepfar

დიაგრამა 1: ათი ყველაზე დიდი განვითარების გამცემი ქვეყანა მონეტარული თვალსაზრისით

დიაგრამა 2: ათი ყველაზე დიდი განვითარების დახმარების გამცემი ქვეყანა მშპ-ს მიხედვით

დიაგრამა 3: აშშ ეკონომიკური დახმარების მიმღები 10 ქვეყანა

წყარო: საგარეო ურთიერთობათა საბჭო
https://education.cfr.org/learn/reading/brief-history-us-foreign aid Apri 5, 2025

Elene Gotsadze
PhD Candidate, Faculty of Humanities
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

The Evolution of United States Foreign Aid in Pursuit of Strategic Objectives

Summary

Foreign aid is a significant instrument of diplomacy leveraged by powerful states. It assists low-income and developing countries in addressing humanitarian and socio-economic challenges and supports partners in fostering civil societies, independent media, and accountable government institutions. This article specifically examines United States foreign aid, tracing its alignment with national interests and its evolution over recent decades.

When discussing US foreign aid, many immediately associate it with USAID; however, this represents only one aspect of a broader toolkit that the US government has utilized since the 19th century. Understanding the development of aid as a diplomatic tool is essential for informing future policy decisions and anticipating emerging trends in global development strategies.

It remains evident that, regardless of location or continent, US foreign aid consistently advances American national interests. Historically, US assistance has been situated at the crossroads of ethical responsibility and strategic objectives. As Senator Richard Lugar said during a 2007 Senate Foreign Relations Committee hearing, „Foreign aid is not charity. It is an investment in strong allies and a more stable world.5" This dual purpose has continually shaped aid policies, establishing assistance both as a diplomatic resource and a mechanism for enhancing global stability.

US foreign aid is very complex and exerts substantial influence worldwide, often generating diverse opinions, some well-founded and logical, oth-

5 U.S. Senate. (2007). *Setting an agenda for national security reform: Hearing before the Committee on Foreign Relations, United States Senate, 110th Congress.* U.S. Government Publishing Office. https://www.govinfo.gov/content/pkg/CHRG-110shrg46267/html/CHRG-110shrg46267.htm

ers less so. It is ironic that many Americans believe that about one quarter of the federal budget goes toward foreign aid, when the truth is that foreign aid typically makes up about 1 percent of the U.S. budget. At the same time, the majority of foreign aid recipients in developing or low-income countries often lack any information about the assistance they receive. In both cases, this reflects a communication failure in U.S. foreign aid policy. From the perspective of a Georgian citizen whose country re-gained independence in 1991 following the dissolution of the USSR, US support has played a critical role in the establishment of a sustainable and functioning state. Over time, the relationship between the two nations has shifted from primarily humanitarian assistance to a comprehensive strategic partnership. To fully understand the scale and implication of this cooperation, it is important to understand the operational mechanisms and implementation frameworks of US foreign aid.

In Georgia, publicly available and well-documented information on these topics remains limited. This article aims to address that gap by providing credible, research-based insights for students, scholars, and policymakers. Such analysis is particularly timely, as the traditional model of U.S. foreign aid is undergoing a profound shift. With the dissolution of USAID by the 47th President, a new era of assistance is expected to emerge—one driven by the need for more efficient, effective, and strategically aligned tools that reflect both developmental priorities and enduring U.S. national interests.